არქიტექტორი სერგო ფანცულაია

თბილისი, ვაჟა ფშაველას I შესახვევი

ტელ: (+995)577540702

ელ. ფოსტა: s.pantsulaia@dephani.com

Architect Sergo Pantsulaia

Address: Vaja Pshavela I Wrap

Tel: (+995) 577540702

Email: S.pantsulaia@dephani.com

15 მარტი 2018 წელი.

შ.პ.ს „ აი-ემ-დი “-ს დირექტორს ბატონ ირაკლი კუტალიას

ბატონო ირაკლი

ჩვენს შორის 2017 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გიგზავნით თქვენი საპროექტო შენობის ისპექტირების ანგარიშს:

შესრულებული სამუშაო : ქალაქ თბილისში სოფელ ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით (72.16.18.965) საპროექტო სამედიცინო ცენტრის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობის დადგენა (საქართველოს მთავრობის დადგენილება N41) ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნებთან“,საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მოთხოვნათა ფაგლებში, დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის საფუძველზე.

პატივისცემით

არქიტექტორი:

სერგო ფანცულაია.

არქიტექტორი სერგო ფანცულაია

თბილისი, ვაჟა ფშაველას I შესახვევი

ტელ: (+995)577540702

ელ. ფოსტა: s.pantsulaia@dephani.com

Architect Sergo Pantsulaia

Address: Vaja Pshavela I Wrap

Tel: (+995) 577540702

Email: S.pantsulaia@dephani.com

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში N Ex-15.03.18-1

შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად

(ეგზ N1 დამკვეთს და ეგზ N2-ინსპექტირების შემსრულებელს)

სამართლებლივად ნაკისრი ვალდებულებით პასუხისმგებელია ინსპექტირების/ექსპერტიზის მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებაზე და ინსპექტირების/ექსპერტიზის ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე.

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო/საინსპექტირებო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხის სამართლებლივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

აკრედიტაციის სფერო:

სამშენებლო პროექტის ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტად შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება:

- არქიტექტორული ნაწილი:

ინსპექტირების (ექსპერტიზის)ობიექტი:

ქალაქ თბილისში სოფელ ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით (72.16.18.965) საპროექტო სამედიცინო ცენტრის **ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარების საფუძველი:**

განაცხადი ინსპექტირების ჩატარებაზე: N **10.11.-17-1 ;** 10.11.2017-ის ხელშეკრულება;

დამკვეთი:

შპს „აი ემ დი“, დირექტორი ირაკლი კუტალია ;

ინსპექტირების (ექსპერტიზის) შემსრულებელი:

ინსპექტირების შემსრულებელი - **სერგი ფანცულაია ,** არქიტექტორი, სპეციალობით მუშაობის სტაჟი - 18 წელი;

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარებაზე განაცხადის შინაარსი:

ქალაქ თბილისში სოფელ ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით (72.16.18.965) საპროექტო სამედიცინო ცენტრის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობაში დადგენა (საქართველოს მთავრობის დადგენილება N41) ტექნიკური რელამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, დაკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის საფუძველზე.

ინსპექტირების დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტები:

1 პროექტის ელ.ვერსია 10,11,2017;

ინსპექტირების თარიღი ან პერიოდი: 11.11.2017-1.03.2018

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში

დ ა ს კ ვ ნ ა

შპს „აი-ემ-დი“ სკ (405 203 462)დირექტორი ირაკლი კუტალიას განაცხადის , წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოწოდებული მასალების საფუძველზე, ქალაქ თბილისში სოფელ ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით (72.16.18.965) საპროექტო სამედიცინო ცენტრის პროექტის (10.11.2017) არქიტექტურული ნაწილის ინსპექტირების შედეგად შეიძლება აღინიშნოს , რომ წარმოდგენილი პროექტის (10.11.2017) არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „ შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“-ს მოთხოვნების შესაბამისად(საქართველოს მთავრობის დადგენილება N41, 2016.01.28) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების მოთხოვნებუთ განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის (10.11.2017) არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა

დადებითი შეფასება.იხ.გამოკვლევითი ნაწილი;

იხ.დანართი N 1 (ცხრილები)

პროექტი ცაწერილია DVD-R დისკზე 2 ეგზემპლარად.

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიშს ეგზემპლარს N 1 თან ერთვის DVD-R დისკი (იხ. დანართი N2).

გამოკვლევა

ქალაქ თბილისში სოფელ ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით (72.16.18.965) საპროექტო სამედიცინო ცენტრის (10.11.2017) პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 41, 2016.01.28) მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, რომელიც მოიცავს შემდეგი პარამეტრების შეფასებას:

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვებს;

ბ) კონსტრუქციის ტიპებს;

გ) სიმაღლეს და ფართობებს;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელებს;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნაირიანობებს;

ვ) მისაწვდომობას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნებს;

თ) სახურავის ანაწყობებს;

ი) ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ გამიჯნავებს;

კ) ხანძრისგან დაცვის სისტემებს;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობებს;

ქალაქ თბილისში სოფელ ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით (72.16.18.965) საპროექტო სამედიცინო ცენტრის (10.11.2017) პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ჩაუტარდა ინსპექტირება.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვთ საპროექტო ობიექტი მდებარეობს : ქალაქ თბილისში სოფელ ქვემო ლისში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით (72.16.18.965) ტერიტორიის საერთო ფართია - 1404 მ^2 .

პროექტის მიხედვით საპროექტო შენობის -1 სართულზე მოეწყობა ავტომობილების პარკინგი, სასმელი და სახანძრო წყლის რეზერვუარი, ქალაქიდან მომავალი წყლის წყვეტის შემთხვევაში საჭირო სანასოსე სადგურის ოთახი, გვამის ოთახი,ორგანოების საწყობი,შენობის ტექნოლოგიური სამზარეულო,თანამშრომლების მოსასვენებელი ოთახი, თანამშრომლების სველი წერტილები და დუშები, დაცვის და მონიტორინგის ოთახი, სახანძრო დეტექციის და სახანძრო გახმოვანების ოპერატორის ოთახი, ტექნიკური საწყობები და პერსონალის გამოსაცვლელი ოთახები, შენობის სასერვერო ასევე საპროექტო შენობის -1 სართულზე განთავსდება ელექტრო ენერგიის გენერატორი. შენობის ±0.00 ნიშნულზე განთავსდება ცენტრალური რეცეპცია (მისაღები), ლაბორატორია, ბავშვთა გასართობი სივრცე, საგარდერობო სივრცე, კომერციული აფთიაქი, ადმინისტრაციის სათაო ოფისი, ქოლ ცენტრი, სათათბირო ოთახი და სველი წერტილები კლინიკის სტუმრებისათვის. შენობის +1 ნიშნულზე განთავსდება ექიმის მისაღები კაბინეტები და საორდინატორო ოთახი, შენობის +2 ნიშნულზე განთავსდება ექიმის მისაღები კაბინეტები,საორდინატორო ოთახი, რენდგენის ოთახი და სველი წერტილები. შენობის +3 ნიშნულზე განთავსდება საოპერაციო ოთახები,ექიმის მისაღები ოთახები,პოსტ საოპერაციო ოთახები, შესახვევი ოთახი, მედიკამენტების შესანახი ოთახი, სტაციონარი და სველი წერტილები. შენობის +4 ნიშნულზე განთავსდება: სამშობიარო ოთახები, მელოგინეთა სტაციონარი, ახალ შობილთა სპეციალური მოვლის პალატა , ფიზიოლოგიური ახალშობილთა მოვლის პალატა, ექიმის კაბინეტები, სველი წერტილები და დამხმარე სათავსოები. შენობის +5 ნიშნულზე განთავსდება საკონფერენციო დარბაზები,რადიოლოგიის ოთახი,საოპერაციო ოთახი, სასტერილიზაციო ოთახი, პოსტ საოპერაციო ოთახი, რესტორანი (სასადილო), დამხამრე კაბინეტები და სველი წერტილები.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობის სტრუქტურას წარმოადგენს, რკინა-ბეტონის ჩარჩო, რბ-ის სვეტებითა და კოჭებით,რომელიც შევსებულია ბეტონის ბლოკით რაშიც მოწყობილია ვიტრაჟი, ალუმინის პროფილზე, შენობის საძირკველი გაძლიერებული რკინა-ბეტონია.

ხანძრისაგან დასაცავად გამოყენებულია, სახანძრო ჰიდრანტები, ხანძრის ავტომატური ქრობის სისტემა (სპრინკლერები) , ხელის ცეცხლმაქრები ცეცლმედეგია, ხოლო შახტები 2 სათიანი ცეცხლმედეგი.

ასევე ყველა ვერტიკალური, თარაზული და სახურავის ანაწყობები ცეცხლმედეგია.

წარმოდგენილი პროექტი შესრულებული არის საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად და აკმაყოფილებს:

ა) დაკავებულობეიბ და დაკავებულობების დატვირთვები გამოანგარიშებულია;

შენობა და ნაგებობის კლასიფიცირებას გამოყენებისა და დაკავებულობის მიხედვით არეგულირებს მე-3 თავი.

წარმოდგენილი პროექტი არის სამედიცინო ცენტრი, რომელშიც თავმოყრილია 2 დაკავებული ჯგუფი:

1. საქმინი ჯგუფი სქ;
2. სასაწყობო ჯგუფი სწ1.

დაკავებულობის ფაქტორის განსაზღვრა ხდება 1004 ქვეთავის , 1004.1.2 და 1004.4 ცხრილში მოცემული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორის მიხედვით.

საპროექტო შენობის -1 სართულზე განთავსებულია სასაწყობე ფართები და მექანიკური მოწყობილობების ოთახი ,ავტოფარეხები და ინდუსტრიული ფართობები , რომელიც კლასიფიცირებულია სასაწყობო ჯგუფი სწ-1-ით და საქმიანი ჯგუფი სქ-ით. დახმარე სათავსე და მექანიკური მოწყობილობების ოთახების დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 27.9 მთლიანი თითო დამკავებელზე, რაც შეადგენს 7 ადამიანს. ავტოფარეხების დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 18.6 მთლიანი თითო დამკავებელზე რაც შეადგენს 18 ადამიანს.ხოლო ინდუსტრიული ფართობების დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 9.3 მთლიანი თითო დამკავებელზე რაც შეადგენს 36 ადამიანს.ჯამურად -1 სართულზე იქნება 61 ადამიანი

საპროექტო შენობის 0.00 ნიშნულზე განთავსებულია საოფისე სივრცეები და საქმიანი წარმოების ბიზნეს ფართობები , რომელიც კლასიფიცირებულია საქმინი ჯგუფი სქ-1-ით რომლის დაკავებულობის ფაქტორია 9.3 მთლიანი თითო დამკავებელზე. ჯამურად დაკავებულობის დატვირთვა 0.00 ნიშნულზე შეადგენს 85 ადამიანს.

საპროექტო შენობის +1 ნიშნულზე განთავსებულია საოფისე სივრცეები და ამბულატორული მკურნალობისათვის განკუთვნილი ფართობები , რომელიც კლასიფიცირებულია საქმინი ჯგუფი სქ-1-ით რომლის დაკავებულობის ფაქტორია 9.3 მთლიანი თითო დამკავებელზე. ჯამურად დაკავებულობის დატვირთვა +1 ნიშნულზე შეადგენს 74 ადამიანს.

საპროექტო შენობის +2 ნიშნულზე განთავსებულია საოფისე სივრცეები და ამბულატორული მკურნალობისათვის განკუთვნილი ფართობები , რომელიც კლასიფიცირებულია საქმინი ჯგუფი სქ-1-ით რომლის დაკავებულობის ფაქტორია 9.3 მთლიანი თითო დამკავებელზე. ჯამურად დაკავებულობის დატვირთვა +2 ნიშნულზე შეადგენს 88 ადამიანს.

საპროექტო შენობის +3 ნიშნულზე განთავსებულია საოფისე სივრცეები, ამბულატორული მკურნალობისათვის განკუთვნილი ფართობები და სტაციონარული მკურნალობისათვის განკუთვნილი ფართობები , რომელიც კლასიფიცირებულია საქმინი ჯგუფი სქ-1-ით რომლის დაკავებულობის ფაქტორია 9.3 მთლიანი თითო დამკავებელზე. ჯამურად დაკავებულობის დატვირთვა +3 ნიშნულზე შეადგენს 88 ადამიანს.

საპროექტო შენობის +4 ნიშნულზე განთავსებულია საოფისე სივრცეები, ამბულატორული მკურნალობისათვის განკუთვნილი ფართობები და სტაციონარული მკურნალობისათვის განკუთვნილი ფართობები , რომელიც კლასიფიცირებულია საქმინი ჯგუფი სქ-1-ით რომლის დაკავებულობის ფაქტორია 9.3 მთლიანი თითო დამკავებელზე. ჯამურად დაკავებულობის დატვირთვა +4 ნიშნულზე შეადგენს 88 ადამიანს.

საპროექტო შენობის +5 ნიშნულზე განთავსებულია საოფისე სივრცეები და ამბულატორული მკურნალობისათვის განკუთვნილი ფართობები , რომელიც კლასიფიცირებულია საქმინი ჯგუფი სქ-1-ით

რომლის დაკავებულობის ფაქტორია 9.3 მთლიანი თითო დამკავებელზე. ჯამურად დაკავებულობის დატვირთვა +5 ნიშნულზე შეადგენს 68 ადამიანს.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე სამედიცინო ცენტრი-ს დაკავებულობის დატვირტვა შეადგენს 552 ადამიანს.

ბ) კონსტრუქციის ტიპები;

შენობის კლასიფიცირებას კონსტრუქციის ტიპების მიხედვით და შენობის სხვადასხა ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხს არეგულირებს მე-6 თავი.

შენობის სტურქურას წარმოადგენს, რკინა-ბეტონის ჩარჩო, რბ-ის სვეტებითა და კოჭებით, რომელზეც მოწყობილია ვიტრაჟი, ალუმინის პროფილზე, შენობის საძირკველი გაძლიერებული რკინა-ბეტონია.

შენობა ნაგებობის კონსტრუქცია შერჩეულია ცხრილი 601-ის მიხედვით. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის სთ) და წამოადგენს I-B ტიპის კონსტრუქციას, შესაბამისად სრულიად აკმაყოფილებს 503 ცრილის (შენობა დასაშვები სიმაღლისა და ფართობის) მოთხოვნებს(იხ. ცხრილი N1; დანართი N1).

გ) სიმაღლეების და ფართობების სიდიდეები;

მიშენება-დაშენებების სიმაღლესა და ფართობს არეგულირებს მე-5 თავი.

შენობა ნაგებობის სიმაღლე და ფართობი განისაზღვრება 503 ცხრილის მიხედვით მე-6 თავის შესაბამისად განსაზღვრული კონსტრუქციის ტიპისა და მე-3 თავის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობებით.

I-B კლასის კონსტრუქციული ტიპის შენობისასთვის, 503 ცხრილის მიხედვით შენებოა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე 48.8 მეტრია, პროექტით შემოთავაზებული სიმარლე კი 23 მეტრია, რაც ნორმებთან შესაბამისობაშია.

503 ცხრილის მიხედვით:

- წარმოდგენილი დაკავებულობის ჯგუფებიდან გამომდინარე სართულების მაქსიმალური რაოდენობაა II-B კლასის კონსტრუქციული ტიპის შემთხვევაში საქმინი ჯგუფი სქ დასაშვებია 4 სართული, პროექტით შემოთავაზებულია 2 სართლი, რაც ნორმების ფარგლებშია. სასაწყობო ჯგუფი სწ-1 დასაშვებია 3 სართული, პრპექტით შემოთავაზებულია 1 სართული, რაც აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს. (იხ. ცხრილი N2; დანართი N1);

- წარმოდგენილი დაკავებულობის ჯგუფებიდან გამომდინარე მაქსიმალური დასაშვები ფართობი თითოეულ სართულზე II-B კლასის კონსტრუქციული ტიპის შემთხვევაში საქმინი ჯგუფი სქ დასაშვებია 2140 კვ.მ თითოეულ სართულზე, პროექტით შემოთავაზებულია 589 კვ.მ, რაც ნორმების ფარგლებშია. სასაწყობო ჯგუფი სწ-1 დასაშვებია 1630 კვ.მ თითოეულ სართულზე, პროექტით შემოთავაზებულია 315 კვ.მ, რაც აკმაყოფილებს ნორმების მთხოვნებს (იხ. ცხრილი N3; დანართი N1).

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები;

გასასვლელი საშუალებების მოთხოვნებს არეგულირებს მე-10 თავი.

ცხრილი 1015.1 1021.1 და 1021.2 მიხედვით მიწისქვედა სართულზე ესაჭიროება 2 გასასვლელი მისადგომი, პროექტშიც გათვალისწინებულია 2 გასასვლელი მისადგომი კიბე, რაც ნორმების ფარგლებშია. მიწისპირა 0.00 ნიშნულზე სართულს ესაჭიროება 2 შენობიდან გამოსასვლელი, პროექტით გათვალისწინებულია 2, რაც ნორმების ფარგლებშია. +1;+2;+3;+4;+5 სართულებს ნორმების მიხედვით ესაჭიროება 2 გასასვლელთან მისადგომი, პროექტში გათვალისწინებულია 2 გასასვლელთან მისადგომი კიბე, რაც აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს.(იხ. ცხრილი N4; დანართი N1).

ყველა დამოუკიდებელი ფართის მიმართ გასასვლელების რაოდენობა შერჩეულია ქვეთავი 1015-ის მოთხოვნების შესაბამისად. 106 ქვეთავის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი საზღვრებში მოქცეული სავალი მანძილი უნდა გაიზომოს სართულის საზღვრებში მდებარე ყველაზე მოშორებული წერტილიდან. პროექტში მითითებული გასასვლელეთან მისაგომის სავალი მანძილები შეესაბამება 1016 ქვეთავის მოთხოვნებს.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა გამოანგარიშებულია;

გასასვლელი საშუალების ზომას არეგულირებს 1005 ქვეთავი.

პროექტი წარმოადგენს 6 სართულიან შენობას მიწისქვედა სართულით, შესაბამისად მიწის დონის ზედა და ქვედა სართულზე მოწყობილია 2 გასასვლელი კიბე. მიწისპირა სართულზე მოწყობილია 2 შენობიდან გამოსასვლელი კარები. კარების კიბეების სიგანეები და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს(იხ. ცხრილი N4; დანართი N1).

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნები;

შენობა-ნაგებობას, როდესაც ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე (გზა) ხანძარსაწიააღმდეგო მანძილი აითვლება გზის ღერძიდან. დანარჩენ მხარეებზე კი ნაკვეთის საზღვრიდან.

705.8 ცხრილის მიხედევით, თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე 602 ცხრილის მიხედვით გარე კედელზე დაუცველი საშხეფების გარეშე ღიობების დასაშვები ფართობი არის შეუზღუდავი. შესაბამისად წარმოდგენილ პროექტში კედლის ღიობების ფართობები ნორმების ფარგლებშია (იხ. ცხრილი N5; დანართი N1).

წარმოდგენილ პროექტში, სახანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე 602 ცხრილის მიხედვით ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ გარე კედელზე ესაჭიროება 0 საათიაანი ხანძარმედეგობა, ხოლო დასავლეთ და სამხრეთ კედლებს 1 საათიანი ხანძარმედეგობა (იხ. ცხრილი N5; დანართი N1).

თ) სახურავის ანაწყობი;

სახურავის ანაწყობებსა და სახურავზედა ნაგებობებს მე-15 თავი არეგულირებს.

წარმოდგენილ პროექტში შენობის გადახურვას წარმოადგენს ბრტელი გადახურვა რკინა-ბეტონის ფილა. სახურავის ანაწყობები შეესაბამება 1505 თავის მოთხოვნებს. I-B კლასის კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე სახურავის კონსტრუქცია აკმაყოფილებს კლასის სახურავების ანაწყობების მოთხოვნებს.

ი) ცეცხლმედეგობის გამმოჯნავები;

ცეცხლიას და კვამლისგან დაცვის საშუალებების მოთხოვნებს არეგულირებს მე-7 თავი.

წარმოდგენილ პროექტში შენობა -ნაგებობის ცეცხლმედეგი მასალები აკმაყოფილებს 703 თავის მოთხოვნებს. გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი ½ და 1 საათიანია, შესაბამისი აღნიშვნები დატანილია გეგმებზე და ჭრილებზე, რაც ნორმების ფარგლებშია (იხ. ცხრილი N 5; დანართი N1).

ცეცხლმედეგობის გამიჯვნები ყველა ნაწილში აკმაყოფილებს ცხრილი 508.4-ის მოთხოვნებს.

კ)ხანძრისაგან დაცვის სისტემები;

ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისადმი მოთხოვნებს არეგულირებს მე-9 თავი.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია: სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, ხელის ცეცხლმაქრი, სახანძრო მილდგარების სისტემები და ცეცხლის ავტომატური ქრობის სისტემა (იხ. ცხრილი N6, დანართი N1). ასევე კვამლგატყორცნის და ჟანგბადის მოდინების სისტემები.

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების ანგარიშები;

წყალსადენი საშუალებებისადმი მინიმალურ მოთხოვნებს არეგულირებს მე-16 თავი.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები, დათვლილია და აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N7; დანართი N1).

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტის (10.11.2017) არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება N41, 2016.01.28) საქართელოს მთავრობის 2009 წლის 25 მარტის N57 დადგენილების მოთხოვნების განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილი (10.11.2017) არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

კვლევაში გამოყენებული მასალები და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

1. ტექნიკური რეგლამენტი „ შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება N41, 2016.01.28).
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, საქართელოს მთავრობის დადგენილება N57 (2009.03.24), N63 (2017.02.06) და N104 (2017.02.23);

ტექნიკური მენეჯერი

არქიტექტორი

დანართი N1

ცხრილი N1

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი

გამოყენებული წესები - **„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“**

ჩამოთვალეთ შენობის დაკავებულებები და აღწერეთ თითოეული გამოყენება
მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრი
1. სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** (ღია ავტოსადგომი, პროდუქტების საწყობი, სამაცივრე ოთახები, სამეურნეო საწყობი, აფთიაქის საწყობი -3.60 ნიშ-ზე)
2. დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** (სახანძრო ტუმბო, წყლის ავზი ავტოსაშხეფი სისტემისთვის, გვამის ოთახი, ორგანოების საწყობები (-3.60, 0.00, +12.20, +15.80, +19.40 ნიშ)
3. სასაწყობო ჯგუფი **სწ-1** - დამლაგებლის ოთახი, თეთრეულის საწყობი -3.60 ნიშნულზე
4. საქმიანი ჯგუფი **სქ** - კლინიკის სამზარეულო, თანამშრომლების მოსასვენებელი ოთახი, სერვერი, ოფისები, ლაბორატორიები, შეხვედრების ოთახი, ექიმების კაბინეტები, საორდინატორო, საოპერაციოები: -3..60, ± 0.00, +5.00, +8.60, +12.20, +15.80, +19.40 ნიშნულებზე
5. სამრეწველო ჯგუფი **სმ-1** - გენერატორი -3.60 ნიშნულზე
6. სავაჭრო ჯგუფი **სვ** - აფთიაქი ± 0.00 ნიშნულზე
7. დაწესებულებითი ჯგუფი **დწ-2** - სტაციონარი - პალატები +12.20, +15.80 ნიშნულებზე
8. თავშეყრის ჯგუფი **თვ-2** - კაფეტერია +19.40 ნიშნულზე

კონსტრუქციის ტიპი:	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის არსებული შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	
განსაზღვრეთ კონსტრუქციის ტიპი ახალი შენობისთვის: მაგალითი: II-A, II-B, V-A, V-B	**I-B** მიწისქვედა და მიწისზედა სართ.
შერეული კონსტრუქციის შემთხვევაში მიუთითეთ ტიპები, რომელიც გამოყენებული იქნება, განსაზღვრეთ ტიპები და მათი მდებარეობა:	

სიმაღლის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები სართულიანობა**	**შემოთავაზებული სართულიანობა**
1. სასაწყობო ჯგუფი **სწ-2** (-3.60 ნიშ-ზე)	**11**	1
2. დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** (-3.60, +12.20, +15.80, +19.40 ნიშ)	**5**	**1**
3. საქმიანი ჯგუფი **სქ** (-3.60, ±0.00, +5.00, +8.60, +12.20, +15.80, +19.40 ნიშნულებზე)	**11**	**7**
4. სასაწყობო ჯგუფი **სწ-1** (-3.60, 0.00 ნიშ)	**11**	**1**
5. სამრეწველო ჯგუფი **სმ-1** (-3.60 ნიშ)	**11**	**1**
6. სავაჭრო ჯგუფი **სვ** (±0.00 ნიშ)	**11**	**1**
7. დაწესებულებითი ჯგუფი **დწ-2** (+12.20, +15.80, +19.40 ნიშ.)	**4**	**2**
8. თავშეყრის ჯგუფი **თვ** -2 (+19.40 ნიშ.)	**11**	**1**
	დასაშვები სიმაღლე	**შემოთავაზებული სიმაღლე**
შენობის სიმაღლე =	**48.80 მ**	**22.23 მ**
მიწის დონის ზემოთ სართულ(ებ)ის რაოდენობა =		**6**

ფართობის შეზღუდვები ცხრილი 503 -ის მიხედვით		
დაკავებულობები	**დასაშვები ფართობი (სართულზე)**	**შემოთავაზებული ფართობი (სართულზე)**
1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2 (-3.60 ნიშ-ზე)	**7340 მ²**	**141.6 მ²**
2. დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** (-3.60, ნიშ)	**3300 მ²**	**80.3 მ²**
3. საქმიანი ჯგუფი **სქ** (-3.60 ნიშ)	**შეუზღუდავი**	**118.3 მ²**
4.სასაწყობო ჯგუფი **სწ-1** (-3.60 ნიშ)	**4460 მ²**	**51.2მ²**
5. სამრეწველო ჯგუფი **სმ-1**(-3.60 ნიშ)	**შეუზღუდავი**	**22.0 მ²**
6. სავაჭრო ჯგუფი **სვ** (±0.00 ნიშ)	**შეუზღუდავი**	**94.0მ²**
7. სასაწყობო ჯგუფი **სწ-1** (±0.00 ნიშ)	**შეუზღუდავი**	**9.5 მ²**
8. საქმიანი ჯგუფი **სქ** (±0.00 ნიშ)	**შეუზღუდავი**	**382.3 მ²**
9. საქმიანი ჯგუფი **სქ** (+5.00 ნიშ.)	**შეუზღუდავი**	**435.5 მ²**
10. საქმიანი ჯგუფი **სქ** (+8.60 ნიშ.)	**შეუზღუდავი**	**511.0 მ²**
11. საქმიანი ჯგუფი **სქ** (+12.20 ნიშ.)	**შეუზღუდავი**	**416.2 მ²**
12. დაწესებულებითი ჯდუფი **დწ-2** (+12.20 ნიშ.)	**შეუზღუდავი**	**131.3მ²**
13. დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** (+12.20 ნიშ.)	**3300 მ²**	**38,9 მ²**
14. საქმიანი ჯგუფი **სქ** (+15.80 ნიშ.)	**შეუზღუდავი**	**294.0 მ²**
15. დაწესებულებითი ჯგუფი **დწ-2** (+15.80 ნიშ.)	**შეუზღუდავი**	**294.0 მ²**
16. დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** (+15.80 ნიშ.)	**შეუზღუდავი**	**36.0 მ²**
17. საქმიანი ჯგუფი **სქ** (+19.40 ნიშ.)	**შეუზღუდავი**	**350.0 მ²**
18. თავშეყრის ჯგუფი **თვ -2** (+19.40 ნიშ.)	**შეუზღუდავი**	**85.0მ²**
19. დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** (+19.40 ნიშ.)	**3300 მ²**	**20.8 მ²**
შემოთავაზებული ფართობების ჯამი =	**3 511.9 მ²**	
სართულების რაოდენობა =	**1 მიწისქვედა + 6 მიწისზედა**	
შენობის საერთო ფართობი =	**4 777.3 მ²**	

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობისადმი მოთხოვნები ცხრილების 602-ის და 705.8 -ის მიხედვით									
გარე კედელი	**ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი** (მეტრი)	**ცეცხლმედეგობის ხარისხი** (საათი)		**კედლის ღიობების ფართობი** (კედლის %)					
		მოთხოვნილი	**გათვალისწინებული**	**დასაშვები**			**გათვალისწინებული**		
				დაცული	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**	**დაცული**	**დაუცველი საშხეფებით**	**დაუცველი**
ფასადი „1-7“ღეძებში	9.0	0	0	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი			44%
ფასადი „7-1“ღეძებში	1.30 + 22 მეტრიანი რეკრეაციული ზონა	0	0	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი			64%
ფასადი „ა-ე“ღეძებში	9.60	0	0	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი			33%
ფასადი „ე-ა“ღეძებში	0	2	2	დაუშვებელია	დაუშვებელია	დაუშვებელია			0

ხანძრისაგან დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშისა, კვამლაღმოჩენი და ცეცხლაღმოჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	ხელის ცეცხლმაქრები	საავარიო განგაშის სისტემები
სასაწყობო ჯგუფი სწ-2	კი		კი			კი	არა
სასაწყობო ჯგუფი სწ-1	კი		კი				არა
სამრეწველო ჯგუფი სმ-1	კი		კი				არა
საქმიანი ჯგუფი სქ	კი	არა	კი	კი	-	კი	არა
სავაჭრო ჯგუფი სვ	კი			კი			
დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი დს	კი	არა	კი	კი	-	არა	არა
დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2	კი		კი	კი			არა
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	კი		კი	კი			არა
კიბის უჯრედი			კი	კი	არა		
ლიფტები					კი		
დერეფანი	კი					კი	
სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები			კი				
სახანძრო ტუმბოები და წყლის რეზერვუარი (განთავსებულია -3.60 ნიშნულზე)			კი				

განიავებისადმი მოთხოვნები		
დაკავებულობები/სივრცეები/გასასვლელი საშუალებები	ბუნებრივი განიავება	ხელოვნური განიავება
სასაწყობო ჯგუფი სწ-2	კი	კი
სასაწყობო ჯგუფი სწ-1	კი	კი
სამრეწველო ჯგუფი სმ-1	კი	
სავაჭრო ჯგუფი სვ		კი
საქმიანი ჯგუფი სქ	კი	კი
დაწესებულებითი ჯგუფი დწ-2	კი	
თავშეყრის ჯგუფი თვ-2	კი	კი
დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი დს	-	კი
კიბის უჯრედი	კი	
ლიფტები		კი
დერეფანი	კი	კი

თითოეული სართულიდან გასასვლელი საშუალება									
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების/გასასვლელთან მისადგომის რაოდენობა და ტიპი	გასასვლელი საშუალებების სიგანე(მეტრი)					
				გზა-კიბეები		დერაფანი,		გასასვლელის გზა-კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
მიწის დონის ქვედა სართული (-3.60 ნიშ.)	სწ-1, სწ-2, სქ, სმ-1, დს ს.დ.დ. 30	7	9					0.82x7 =5.74	10.28
პირველი სართული (±0.00 ნიშ.)	სქ, სვ, სწ-1 ს.დ.დ. 62	2	3 გზა-კარი 1 გზა-კიბე	1.20	1.20 1.35	1.20	2.00	1.64	1.84
მეორე სართული (+5.00 ნიშ.)	სქ ს.დ.დ. 55	2	2 გზა-კიბე	1.20	1.20 1.35	1.20 1.80	1.50 3.00	1.64	1.84
მესამე სართული (+8.60 ნიშ.)	სქ ს.დ.დ. 63	2	2 გზა-კიბე	1.20	1.20 1.35	1.20 1.80	2.00 3.50	1.64	1.84
მეოთხე სართული (+12.20 ნიშ.)	სქ, დს დწ-2 ს.დ.დ. 64	2	2 გზა-კიბე	1.20	1.20 1.35	1.20 1.80 2.40	1.20 2.50 2.40	1.64	1.84
მეხუთე სართული (+15.80 ნიშ.)	სქ, დს დწ-2 ს.დ.დ. 65	2	2 გზა-კიბე	1.20	1.20 1.35	1.20 1.80 2.40	1.80 2.50 2.40	1.64	1.84
მეექვსე სართული (+19.40 ნიშ.)	სქ, თვ-2 ს.დ.დ.108	2	2 გზა-კიბე	1.20	1.24 1.39	1.20	1.40 1.60	1.64	1.84

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა ცხრილი 1602.1-ის მიხედვით													
სართულები	დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	ფიქსირებული მოწყობილობები(ცალი)											
		უნიტაზი		ტუალეტის ხელსაბანები		აბაზანა/შხაპი		სასმელი წყლის ფანტანი		სამომსახურეო ნიჟარა		სამზარეულოს ნიჟარა	
		მოთხოვნილი რაოდენობა	გათვალისწინებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	გათვალისწინებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	გათვალისწინებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	გათვალისწინებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	გათვალისწინებული რაოდენობა	მოთხოვნილი რაოდენობა	გათვალისწინებული რაოდენობა
მიწის დონის ქვედა სართული(-3.60ნიშ.)	სწ-1,სწ-2, სქ, დს ს.დ.დ. 30	1	5		12		8	1	1	1	1	1	8
პირველი სართული (±0.00ნიშ.)	სქ, სვ, სწ-1 ს.დ.დ. 62	1	7		9			1	2	1	1		
მეორე სართული (+5.00 ნიშ.)	სქ ს.დ.დ. 55		-		16		-	1	2				
მესამე სართული (+8.60 ნიშ.)	სქ ს.დ.დ. 63	1	5		25		-	1	2	1	1		
მეოთხე სართული (+12.20 ნიშ.)	სქ, დწ-2, დს ს.დ.დ. 64	1	8		19		4	1	2	1	1		
მეხუთე სართული (+15.80 ნიშ.)	სქ, დწ-2,დს ს.დ.დ. 65	1	10		18		8	1	2	1	1		
მეექვსე სართული (+19.40 ნიშ.)	სქ, დს, თვ-2 ს.დ.დ. 108	2	4		8			1	2	1	1	1	1